



დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2020 წლის 02 ოქტომბერი

დისციპლინური საქმე №28/249-18
მოსამართლე --- მიმართ

დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

--- და --- 2018 წლის 10 ოქტომბრის №-- საჩივრის საფუძველზე, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ, მოსამართლე --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2018 წლის 28 დეკემბრის №252/28/249-03 წერილით, მოსამართლეს ეცნობა საჩივრის შემოსვლისა და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დასკვნა მომზადდა 2019 წლის 21 თებერვალს.

1. საჩივრის ავტორების მიერ მითითებული ფაქტები:

--- სასამართლოს მოსამართლე --- წარმოებაში იმყოფებოდა სისხლის სამართლის საქმე ---, --- და --- მიმართ. აღნიშნულთან დაკავშირებით საჩივარში მითითებულია შემდეგ ფაქტებზე:

1.1. სისხლის სამართლის საქმე არსებით განსახილველად იმყოფებოდა მოსამართლე --- წარმოებაში. მას შემდეგ რაც, საქმე გადაეცა მოსამართლე ---, მან საქმის განხილვა გააგრძელა შესავალი სიტყვის შემდგომი ეტაპიდან. საფუძველად მოსამართლემ მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ იგი სათადარიგო მოსამართლედ იყო საქმეზე დანიშნული. საჩივრის ავტორების აზრით მოსამართლეს თავიდან უნდა დაეწყო საქმის განხილვა.

1.2. მოსამართლემ აცილების საკითხი განიხილა საპროცესო ნორმების დარღვევით. კერძოდ, განმარტა მხოლოდ მოსამართლის აცილების შესაძლებლობა და აღნიშნულზე მოსაზრება ჰკითხა პროკურორს და ადვოკატებს. მოსაზრებები არ დაუფიქსირებიათ ბრალდებულებს. ასევე, სასამართლოს არ გამოუკვლევია სხდომის მდივნის, მხარეების აცილების საკითხი.

1.3. 2018 წლის 30 იანვრის სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაიკითხა ---, რომელიც დაკითხვამდე ესწრებოდა საქმის არსებითი განხილვის სხდომებს. მოწმის დაკითხვის დაწყებამდე, აღნიშნული ინფორმაცია დაცვის მხარემ მიაწოდა სასამართლოს. ფაქტის ნამდვილობა დაადასტურა ასევე მოწმემაც. სასამართლომ, საქართველოს სსსკ-ის 118-ე მუხლის დარღვევით, მაინც განაგრძო მოწმე --- დაკითხვა და განაცხადა, რომ არ არსებობდა საპროცესო ნორმა, რის საფუძველზეც, მსგავს ვითარებაში დაუშვებელი იყო მოწმის დაკითხვა.

1.4. 2018 წლის 30 იანვრის სასამართლო სხდომაზე, ბრალდების მხარემ მოწმის სახით დასაკითხად სასამართლოში წარმოადგინა 3 პირი. ორი მოწმის დაკითხვის შემდეგ, პროკურორმა განაცხადა, რომ იყო 18:00 საათი და შემდეგ მოწმეს ვერ დაკითხავდნენ, რადგან მოწმე 16:00 საათისათვის წავიდა სამსახურში, მოვალეობის შესასრულებლად. აღნიშნული გააპროტესტა დაცვის მხარემ. მათი ინფორმაციით, მოწმე ჯერ კიდევ სასამართლოს შენობაში იმყოფებოდა. აღნიშნული დაადასტურა ასევე სასამართლოს მანდატურმაც. მოცემულის შემდეგ პროკურორმა განაცხადა, რომ მას აღარ სურდა კონკრეტულ დღეს მოწმის დაკითხვა და სხვა დროს წარმოადგენდა მას სასამართლოში. საჩივრის ავტორები მიიჩნევენ, რომ პროკურორის მიერ ადგილი ჰქონდა პროცესის ხელოვნურად გაჭიანურებას, რაც რეაგირების გარეშე დატოვა სასამართლომ.

1.5. 2018 წლის 21 თებერვლის სასამართლო სხდომაზე მოწმე -- -- დაკითხვის დროს, მოწმემ შეკითხვებზე პასუხების გაცემა დაიწყო უშვერი სიტყვებით (ვითარების აღწერისას იმეორებდა დანაშაულის ადგილზე ბრალდებულების მიერ ნათქვამ სიტყვებს). აღნიშნულმა დარბაზში გარკვეული რეაქცია, სიცილი გამოიწვია. საჩივარში მითითებულია, რომ მოსამართლემ, მოწმისთვის კორექტულ საუბარზე მითითების ნაცვლად, საქმის განხილვა დახურა. ასევე, საქმის განხილვა დაიხურა სრულად და არა მხოლოდ კონკრეტულ საკითხზე.

1.6. 2018 წლის 21 თებერვლის სასამართლო სხდომაზე, დაცვის მხარის შეკითხვის განრიდება ითხოვა ბრალდების მხარემ. დაცვის მხარე ცდილობდა მასაც გამოეთქვა პოზიცია, თუმცა იგი მოსამართლემ უხეში ტონით შეაჩერა, ხოლო შემდეგ, ისე რომ მისთვის შენიშვნა არ მიუცია, სასამართლოს უპატივცემულობისთვის დააჯარიმა 200 ლარით. საჩივარში აღნიშნულია, რომ მოსამართლემ უსაფუძვლოდ და დაუსაბუთებლად გამოიყენა დაჯარიმების საპროცესო ღონისძიება. დაჯარიმების თაობაზე განკარგულება არსებითად განსხვავდებოდა, სასამართლო პროცესზე გამოცხადებული განკარგულებისგან. განკარგულებაში მითითებული იყო საქართველოს სსსკ-ის 85-ე მუხლი ზოგადად, კონკრეტული შესაბამისი ნორმის ნაწილის გარეშე.

1.7. მოსამართლის აცილების თაობაზე შუამდგომლობის განხილვისას (2018 წლის 21 თებერვლის სასამართლო სხდომა), მოსამართლემ არ მისცა შესაძლებლობა ბრალდებულებს - -- -- და -- -- გამოეხატათ პოზიცია მანამ, სანამ აღნიშნულზე პროტესტი არ გამოეთქვა დაცვის მხარემ.

1.8. სასამართლო სხდომაზე ადვოკატების საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის გამო, ბრალდებულებს დაენიშნათ სავალდებულო დაცვის წესით ადვოკატი. მომდევნო სასამართლო სხდომაზე დაცვის მხარის შუამდგომლობა - სავალდებულო წესით დანიშნული ადვოკატის აცილების თაობაზე, დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, მხოლოდ ბრალდებულების: -- -- და -- -- შემთხვევაში. -- -- ამავე მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვა. საჩივარში აღნიშნულია, რომ სასამართლომ არ გაითვალისწინა ბრალდებულის უფლება - დაეცვა საკუთარი ინტერესები პირადად, ადვოკატის მონაწილეობის გარეშე.

1.9. 2018 წლის 25 აპრილის სასამართლო სხდომაზე, სახელმწიფო ბრალმდებელმა შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს, საზღვარგარეთ მყოფი 4 მოწმის ჩვენების გამოქვეყნების თაობაზე. სასამართლოს გადაეცა საზღვრის კვეთის თაობაზე, დოკუმენტები და სატელეფონო გასაუბრების ოქმები. მოსამართლემ, ისე რომ არც წაუკითხავს წარდგენილი ოქმები, დადასტურებულად მიიჩნია საქართველოს სსსკ-ის 243-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული გარემოება, რაც მომჩივანთა მოსაზრებით, არ გამომდინარეობდა საქმეზე წარდგენილი მტკიცებულებებიდან. კერძოდ, არ დგინდებოდა, რომ მხარემ ყველა გონივრული შესაძლებლობა ამოწურა მოწმის სასამართლოში წარსადგენად.

1.10. გამოძიების ეტაპზე, მაგისტრი მოსამართლის წინაშე (მოსამართლე-- --) მოწმის სახით დაკითხა - - -. მოწმე, ცრუ ჩვენებისა და ჩვენებაზე უარის თქმის შესახებ, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის თაობაზე გაფრთხილებულ იქნა მხოლოდ ჩვენების მიცემის დასრულების შემდეგ.

ასევე, მოწმე -- -- დაკითხვის პროცესში მონაწილე თარჯიმანს, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე, სასამართლომ ხელწერილი ჩამოართვა მხოლოდ მას შემდეგ, რაც დაკითხვა დასრულდა და თარჯიმანი ტოვებდა სხდომის დარბაზს.

1.11. გამოძიების ეტაპზე, მოწმის სახით გამოიკითხა -- --, რომელმაც როგორც საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე გაირკვა, არ იცოდა ქართული ენა. საჩივარში აღნიშნულია, რომ მოცემული ჩვენება სასამართლოს არ უნდა გაეთვალისწინებინა, თუმცა საკითხი საერთოდ არ შეფასებულა განაჩენში.

1.12. მოსამართლე საქმის განხილვის დროს იყო აგრესიული, უყვიროდა და უპატივცემულოდ მიმართავდა მხარეებს.

1.13. მსჯავრდებულთა მიმართ დანიშნული სასჯელის ნაწილში, განაჩენი დაუსაბუთებელია.

2. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

-- სასამართლოს 2018 წლის 04 ივლისის განაჩენით:

-- -- უდანაშაულოდ იქნა ცნობილი საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დანაშაულში. -- -- ცნობილია დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის პირველი ნაწილით, რისთვისაც სასჯელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 8 თვის ვადით. -- -- სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო 2017 წლის 13 ნოემბრიდან.

-- -- უდანაშაულოდ იქნა ცნობილი საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და ამავე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულში. -- -- ცნობილია დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის პირველი ნაწილით, რისთვისაც სასჯელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 10 თვის ვადით. -- -- სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო 2017 წლის 13 ნოემბრიდან.

-- -- უდანაშაულოდ იქნა ცნობილი საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დანაშაულში. -- -- ცნობილია დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის პირველი ნაწილით, რისთვისაც სასჯელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით. -- -- სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო 2017 წლის 13 ნოემბრიდან.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 21 თებერვლის დასკვნა:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია). იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენას, საჭიროა სამართლებრივი შეფასება მიეცეს მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შეფასდეს კონკრეტული ფაქტები, შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

3.1. საქართველოს სსკ-ის 184-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, საქმეზე შეიძლება დაინიშნოს სათადარიგო მოსამართლე, რომელიც ცვლის სასამართლო შემადგენლობიდან გასულ მოსამართლეს და საქმის განხილვა გრძელდება.

საქმის მასალების თანახმად 2017 წლის 15 დეკემბერს, საქმე არსებით განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --. 2018 წლის 5 იანვრის სასამართლო სხდომაზე, სასამართლომ განიხილა მხარეთა შუამდგომლობები (საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლი), მოისმინა მხარეთა შესავალი სიტყვები.

-- სასამართლოს თავმჯდომარის 2018 წლის 12 იანვრის ბრძანებით, საქმეზე სათადარიგო მოსამართლედ დაინიშნა მოსამართლე -- --. 2018 წლის 17 იანვარს, საქმე განსახილველად გადაეცა

მოსამართლე --- (მოსამართლე -- -- სააპელაციო სასამართლოს მოსამართლედ გამწესების გამო). 2018 წლის 30 იანვრის სასამართლო სხდომაზე საქმის განხილვა გაგრძელდა მხარეთა შესავალი სიტყვის შემდგომი ეტაპიდან.

საჩივარში აღნიშნულია, რომ მოსამართლე -- -- საქმის განხილვის გაგრძელების ნაცვლად, განხილვა თავიდან უნდა დაეწყო, თუმცა მოსაზრება ამ კუთხით წინააღმდეგობრივია საქართველოს სსსკ-ის 184-ე მუხლთან. კერძოდ, არსებულ მოცემულობაში სათადარიგო მოსამართლემ შეცვალა სასამართლო შემადგენლობიდან გასული მოსამართლე. მსგავს ვითარებაში კი, საქმის განხილვა გრძელდება, განხილვის თავიდან დაწყების გარეშე. შესაბამისად, მოსამართლის ქმედება საპროცესო ნორმების შესაბამისია.

3.2. საჩივარში აღნიშნულია, რომ სასამართლომ 2018 წლის 30 იანვრის სხდომაზე დაარღვია საპროცესო წესი, კერძოდ, სასამართლოს აცილების თაობაზე, მოსამართლემ არ მოისმინა ბრალდებულების მოსაზრება, არ გამოიკვლია სხდომის მდივნის/მხარეების აცილების საკითხი.

საქართველოს სსსკ-ის 229-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარე აცხადებს სასამართლოს შემადგენლობას, ასევე აცხადებს, თუ ვინ უჭერს მხარს ბრალდებას და ვინ ახორციელებს დაცვას, და მხარეებს ეკითხება, ხომ არ აქვთ მოსამართლის, პროკურორის, ადვოკატის, სხდომის მდივნის, თარჯიმნის ან პროცესის სხვა მონაწილის აცილების საფუძველი.

აღსანიშნავია, რომ მოცემული დანაწესი წარმოადგენს ზოგად საპროცესო წესს, რომელიც იცავს პროცესის მონაწილის მინიმალურ უფლებას, სასამართლომ მასთან მიმართებაში გამოიკვლიოს და მოისმინოს მოსაზრება, პროცესის თითოეული სხვა მონაწილის მიმართ აცილების შესახებ.

2018 წლის 05 იანვრის სასამართლო (მოსამართლე -- --) სხდომაზე დაიწყო -- --, -- -- და სხვათა მიმართ სს საქმის არსებითი განხილვა. სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას, სასამართლომ გამოიკვლია მოსამართლის, სხდომის მდივნის, მხარეების აცილების საკითხები. 2018 წლის 30 იანვრის სასამართლო სხდომაზე, საქმის განხილვა გაგრძელდა სასამართლოს სხვა შემადგენლობის მონაწილეობით (მოსამართლე ----). სასამართლო სხდომის გახსნისთანავე, მოსამართლემ გააცნო მხარეებს სასამართლოს შემადგენლობაში ცვლილების თაობაზე ინფორმაცია და მიმართა შეკითხვით: „თუ აცილების რაიმე საფუძველი გაქვთ, შეგიძლიათ განაცხადოთ მხარეებმა“. აღსანიშნავია, რომ მხარეებში, საქართველოს სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, მოიაზრება როგორც, პროკურორი, ისე, ბრალდებული და მისი ადვოკატი. შესაბამისად, მომჩივანთა მოსაზრება, რომ აცილების თაობაზე შეკითხვით სასამართლოს ბრალდებულებისთვის არ მიუმართავს, უსაფუძვლოა.

რაც შეეხება, სხდომის მდივნის/მხარეთა აცილების საკითხის გამოკვლევას, ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ გარემოებებს: 2018 წლის 05 იანვრის სასამართლო სხდომაზე, მოსამართლე -- -- მონაწილეობით საქმეზე გამოკვლეულია მხარეთა, სხდომის მდივნის აცილების საკითხები, ხოლო 2018 წლის 30 იანვრის მდგომარეობით, შეცვლილი სასამართლოს შემადგენლობით გაგრძელდა საქმის განხილვა.

საქმის განხილვის მიმდინარეობისას, სხდომის მდივნის/მხარეების მიმართ აცილების საკითხების განმეორებითი გამოკვლევის სავალდებულობას კანონმდებლობა პირდაპირ არ ითვალისწინებს, თუმცა, საქართველოს სსსკ-ის 229-ე მუხლის შესაბამისად, პროცესში მონაწილე მხარის/სხდომის მდივნის შეცვლის შემთხვევაში, სასამართლო ვალდებულია აცილების საკითხის განმეორებითი გამოკვლევა განახორციელოს.

კონკრეტულ შემთხვევაში როგორც დგინდება, მსგავსი აუცილებლობა არ იკვეთებოდა. კერძოდ, სხდომის მდივნის/მხარეებს შორის ცვლილებას, 2018 წლის 30 იანვრის სასამართლო სხდომაზე ადგილი არ ჰქონია. შესაბამისად, მოსამართლის მხრიდან მოვალეობის შეუსრულებლობისა და საპროცესო წესის დარღვევის ფაქტი არ დასტურდება.

3.3. საქართველოს სსსკ-ის 118-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მოწმე უნდა დაიკითხოს იმ მოწმეთაგან განცალკევებით, რომლებიც ჯერ არ დაკითხულან. ამასთანავე, სასამართლო იღებს ზომებს, რათა ერთ საქმეზე გამოძახებულ მოწმეებს დაკითხვის დამთავრებამდე ერთმანეთთან ურთიერთობა არ ჰქონდეთ. დაკითხვის დასრულების შემდეგ მოსამართლემ უნდა განუმარტოს მოწმეს სასამართლო სხდომაზე დასწრების უფლება.

2018 წლის 30 იანვრის სასამართლო სხდომაზე, ბრალდების მხარის მიერ სასამართლოში წარმოდგენილი იქნა მოწმე -- --. მოწმის ვინაობის დადგენის შემდეგ, დაცვის მხარის ადვოკატმა შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს, მოწმე -- -- დაკითხვის დაუშვებლობაზე, იმ მოტივაციით, რომ მოწმე წინა, 2018 წლის 05 იანვრის სასამართლო სხდომას ესწრებოდა, აღნიშნული კი, ეწინააღმდეგებოდა საქართველოს სსსკ-ის 118-ე მუხლის მე-2 მუხლის დანაწესს. ფაქტის ნამდვილობა დაადასტურა ასევე მოწმე -- --. სასამართლომ შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა უსაფუძვლოდ გამო. სასამართლო სხდომაზე დაიკითხა მოწმე -- -- და მისი ჩვენება შემდგომში, მტკიცებულების სახით გაიზიარა სასამართლომ განაჩენში (გვ 32). სასამართლომ განაჩენში ასევე შეაფასა მოწმე -- -- დაკითხვის საპროცესო კანონიერება და განმარტა, რომ ვინაიდან სადავო 2018 წლის 05 იანვრის სხდომაზე სასამართლომ მოისმინა მხოლოდ მხარეთა შესავალი სიტყვა და არცერთი მოწმე პროცესზე არ იყო დაკითხული, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, არ არსებობდა დამაბრკოლებელი გარემოება, მოწმე -- -- დაკითხვასთან დაკავშირებით.

საჩივარში მითითებულია, რომ მოწმე -- -- დაკითხვისა და მის მიერ მიცემული ჩვენების გაზიარებით, სასამართლომ დაარღვია საქართველოს სსსკ-ის 118-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნა.

საქართველოს სსსკ-ის 118-ე მუხლის მე-2 ნაწილთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ საპროცესო წესი ამ მიმართებით ადგენს 2 სახის აკრძალვას: 1. დაუშვებელია დასაკითხი მოწმის თანდასწრებით, ამავე საქმეზე სხვა მოწმის დაკითხვა; 2. დაუშვებელია ერთ საქმეზე გამოძახებულ მოწმეებს, დაკითხვის დამთავრებამდე ერთმანეთთან ჰქონდეთ ურთიერთობა.

არსებულ მოცემულობაში, სადავო ფაქტთან დაკავშირებით არცერთ კონკრეტულ გარემოებას ადგილი არ ჰქონია. მოწმის დაკითხვის სასამართლო პროცესს, დაკითხვამდე მოწმე -- -- არ დასწრებია (2018 წლის 05 იანვრის სასამართლო სხდომა).

დამატებით ასევე ყურადღება უნდა იქნეს გამახვილებული საქართველოს სსსკ-ის 228-ე მუხლის მე-5 ნაწილზეც. დანაწესის თანახმად, გამოცხადების შემოწმების შემდეგ მოწმედ დასაკითხი პირები, გარდა ბრალდებულისა, ტოვებენ სასამართლო სხდომის დარბაზს. მოცემული წესის დარღვევა კი, საქართველოს სსსკ-ის საქართველოს სსსკ-ის 118-ე მუხლისგან დამოუკიდებლად, რამდენად მიუთითებს მოწმის დაკითხვის დაუშვებლობაზე, აღნიშნულზე კანონში პირდაპირი შეზღუდვა არაა გათვალისწინებული¹. შესაბამისად, სამართლებრივი რეგულაციის ბუნდოვანების გამო, ამ კუთხით ქმედება და სამართლებრივი შედეგები ვერც დისციპლინური სამართალწარმოების ფარგლებში იქნება შეფასებული, როგორც დისციპლინური გადაცდომა („საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-3 პუნქტი).

3.4. 2018 წლის 30 ოქტომბრის სასამართლო სხდომის მიმდინარეობისას (17:15 საათი), სახელმწიფო ბრალმდებელმა შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს, სხდომის სხვა დროისთვის გადადების თაობაზე. პროკურორმა განმარტა, რომ დაკითხვის მიზნით, სასამართლოში ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი იყო მოწმე -- --, რომელიც სადამოს განრიგის მიხედვით, 16:00 საათისათვის უნდა ყოფილიყო სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების ადგილას. შესაბამისად, შუამდგომლობდა სხდომის გადადებას და მოწმე -- -- სხვა დროისთვის დაკითხვას. შეკითხვაზე, კონკრეტულად იმყოფებოდა თუ არა მოწმე იმ დროისთვის სასამართლოს შენობაში, პროკურორმა განმარტა, რომ

¹ მოსამართლე -- -- 2018 წლის 05 იანვრის სასამართლო სხდომაზე საქმის განხილვაში არ მონაწილეობდა.

აღნიშნული მისთვის უცნობი იყო. მოცემული გააპროტესტა დაცვის მხარემ. სასამართლოს მანდატურის განმარტებით, მოწმე სასამართლოს შენობაში იმყოფებოდა. დაცვის მხარე მიიჩნევდა, რომ ამგვარ პირობებში სხდომის გადადება გამოიწვევდა საპატიმრო საქმეზე სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების შეფერხებას. სასამართლომ დააკმაყოფილა შუამდგომლობა, სხდომის სხვა დროისთვის გადადების თაობაზე და განმარტა, რომ მოსამართლე ვერ აიძულებდა მხარეს ყველა მოწმე წარმოედგინა ერთ დღეს; მიიჩნევდა, რომ არ დაირღვეოდა დაცვის მხარის უფლებები, თუ ყველა მოწმე ერთ პროცესში არ დაიკითხებოდა; ვინაიდან მხარე ზღუდავდა თავის გამოსაკვლევ მტკიცებულებათა ოდენობას, სასამართლო არ იყო უფლებამოსილი დაეძალებინა მისთვის მტკიცებულების გამოკვლევა.

საჩივარში აღნიშნულია, რომ მოცემულ შემთხვევაში პროკურორის მხრიდან ადგილი ჰქონდა პროცესის ხელოვნურად გაჭიანურებას, რაც რეაგირების გარეშე დატოვა სასამართლომ.

საკითხის შეფასებისთვის უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე. სასამართლოს ეკრძალება ბრალდების დამადასტურებელ ან დაცვის ხელშემწყობ მტკიცებულებათა დამოუკიდებლად მოპოვება და გამოკვლევა. მტკიცებულებათა მოპოვება და წარდგენა მხარეების კომპეტენციაა (საქართველოს სსსკ-ის 25 მუხლი). შეჯიბრებითობის პრინციპის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს სსსკ-ის 242-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, გამოსაკვლევად წარდგენილ მტკიცებულებათა რიგითობას და მოცულობას განსაზღვრავს თვით წარმდგენი მხარე.

კონკრეტულ შემთხვევაში, ბრალდების მხარემ უარი განაცხადა მოწმის 2018 წლის 30 იანვრის სასამართლო სხდომაზე წარმოდგენაზე. აღნიშნული, მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე, წარმოადგენს მხარის საპროცესო უფლებას, რაც სასამართლოს მხრიდან უპირობოდ შეზღუდული ვერ იქნებოდა.

რაც შეეხება იმ მოსაზრებას, რომ ქმედება შედეგად იწვევდა სწრაფი მართლმსაჯულების შეფერხებას, საკითხი ამ კუთხით საქმის გარემოებების გათვალისწინებით უნდა შეფასდეს:

- საქმის არსებითი განხილვა (მოსამართლე -- --) დაიწყო 2017 წლის 15 დეკემბერს.
- მოსამართლე -- -- საქმე არსებით განსახილველად გადაეცა 2018 წლის 17 იანვარს.
- 2018 წლის 30 იანვრის სასამართლო სხდომა გადაიდო 2018 წლის 6 თებერვალს.

საქმის განხილვის ვადის და იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ბრალდების მხარის ქმედებას სისტემატური ხასიათი არ ჰქონია, საქმეზე მოწმის დაკითხვის აუცილებლობა, იმ საფუძველით, რომ საფრთხე ექმნებოდა სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებას, არ იკვეთება.

3.5. 2018 წლის 21 თებერვლის სასამართლო სხდომაზე დაიკითხა მოწმე -- --. დაკითხვის წარმოებისას, მოწმე შემთხვევის აღწერის პროცესში საუბრისას იყენებდა უხამს სიტყვებს (ვითარების აღწერისას იმეორებდა დანაშაულის ადგილზე ბრალდებულების მიერ ნათქვამ სიტყვებს). აღნიშნული დარბაზში დამსწრე პირებში სიცილს იწვევდა. სასამართლომ დამსწრე პირები ორჯერ გააფრთხილა წესრიგის დაცვის მიზნით, ხოლო შემდგომში, ანალოგიურ ქმედებაზე, მიიღო გადაწყვეტილება, სასამართლო სხდომის დარბაზში წესრიგის უზრუნველყოფის მიზნით, სასამართლო სხდომის დახურვის თაობაზე (საქართველოს სსსკ-ის 182-ე მუხლი).

განჩინებაში სხდომის დახურვის საფუძველად ასევე მითითებულია 2018 წლის 30 იანვრის სასამართლო სხდომაზეც. სასამართლოს განმარტებით, 2018 წლის 30 იანვრის სასამართლო პროცესზეც სხდომის დარბაზში ასევე ირღვეოდა წესრიგი, რაც გამოიხატებოდა სხდომის დარბაზში მყოფი პირების ერთმანეთთან გადალაპარაკებით, ფაქტების მოსმენის დროს ემოციების გამოხატვით იმგვარად, რომ სასამართლოს მუდმივად უწევდა სხდომის დარბაზში წესრიგის დაცვისკენ მოწოდება (წესრიგის დარღვევის გამო, გამეგებულ იქნა ერთი პირი).

საჩივარში აღნიშნულია, რომ სასამართლოს თავად მოწმე უნდა გაეფრთხილებინა წესრიგის დაცვისთვის. ამის ნაცვლად, სასამართლომ უსაფუძვლოდ დახურა სასამართლო სხდომა. ამასთან, სხდომა დაიხურა არა კონკრეტული მოწმის დაკითხვისას, არამედ სრულად.

თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოს მოტივაცია, სხდომის მიმდინარეობის დახურვასთან, უკავშირდებოდა არა მარტო 2018 წლის 21 თებერვლის სასამართლო სხდომაზე მოწმის დაკითხვის ფაქტს, არამედ 2018 წლის 30 იანვრის სასამართლო სხდომასაც. სასამართლოს მოსაზრებით, ორივე სასამართლო სხდომაზე დარბაზში მყოფი პირების ქმედებები, გადალაპარაკებები, ჟესტებითა და მიმიკებით საუბრები ბრალდებულებთან, არღვევდა წესრიგს და ხელს უშლიდა სასამართლო სხდომის მიმდინარეობას. შესაბამისად, მოსაზრება, რომ მხოლოდ კონკრეტული მოწმის ქმედებამ განაპირობა სხდომის დახურვა, წინააღმდეგობრივია სასამართლოს განჩინებაში მითითებულ გარემოებებთან.

რაც შეეხება ზოგადად სასამართლო სხდომის მიმდინარეობის დახურვის თაობაზე სასამართლო გადაწყვეტილების საფუძვლიანობას, იგი დაუშვებელია შემოწმდეს დისციპლინური სამართალწარმოების ფარგლებში. სასამართლო დასკვნის კანონიერება, რომელიც უკავშირდება მოსამართლის შინაგანი რწმენით შეფასებებს, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, არ წარმოადგენს დისციპლინური ორგანოს მსჯელობის საგანს.

3.6. 2018 წლის 21 თებერვლის სასამართლო სხდომაზე მოწმის დაკითხვის პროცესში, სახელმწიფო ბრალმდებელმა მოწმისთვის დასმული შეკითხვის განრიდება ითხოვა. სახელმწიფო ბრალმდებელი მიუთითებდა, რომ შეკითხვას არ ჰქონდა შემხებლობა საქმესთან. აღნიშნულთან, მოსაზრების დაფიქსირების სურვილი გამოხატა დაცვის მხარის ადვოკატმა:

დაცვის მხარის ადვოკატი: თუ შეიძლება განმარტავ...

მოსამართლე: კითხვა განრიდება, ვინაიდან არ აქვს შემხებლობა საქმესთან.

დაცვის მხარის ადვოკატი: ბატონო მოსამართლე, თქვენ არ გაქვთ უფლება შუამდგომლობას რომ აყენებს...

მოსამართლე: სასამართლოს ნუ ეკამათებით!

დაცვის მხარის ადვოკატი: თქვენ მე მიკრძალავთ?

მოსამართლე: დიახ გიკრძალავთ, იმიტომ რომ შეკითხვებს სვამს -- -- (ბრალდებული).

დაცვის მხარის ადვოკატი: დიახ გავიგე, მაგრამ როცა ერთი მხარე შუამდგომლობას აყენებს ნიშნავს, რომ მეორე მხარემ პასუხი გასცეს.

მოსამართლე: სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება.

დაცვის მხარის ადვოკატი: თქვენ მე არ მალაპარაკებთ, თქვენ არღვევთ საპროცესო კოდექსს.

მოსამართლე: თქვენ იჩენთ სასამართლოს უპატივცემულობას და არღვევთ წესრიგს, რის გამოც ჯარიმდებით 200 ლარით.

საჩივარში აღნიშნულია, რომ სასამართლომ: 1. საპროცესო მოთხოვნათა დარღვევით აუკრძალა მხარეს მოსაზრების გამოხატვა; 2. მოსამართლის ტონი საუბრისას იყო უხეში; 3. შენიშვნის მიცემის გარეშე იქნა მიღებული გადაწყვეტილება, სასამართლოს უპატივცემულობის გამო, მხარის 200 ლარით დაჯარიმების თაობაზე; 4. დაჯარიმების შესახებ განკარგულება არსებითად განსხვავდებოდა სასამართლო პროცესზე გამოცხადებული განკარგულებისგან. 5. განკარგულებაში არ იყო მითითებული საქართველოს სსსკ-ის 85-ე მუხლის კონკრეტული ნაწილი.

3.6.1. მოწმის დაკითხვის პროცესთან მიმართებით, საქართველოს სსსკ-ის 115-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებია მხარის შუამდგომლობით იმ შეკითხვის განრიდება, რომელიც არ ეხება საქმეს.

საპროცესო კანონით დადგენილია ზოგადი წესი იმის თაობაზე, რომ შუამდგომლობასთან მიმართებით სასამართლო ვალდებულია მოისმინოს მეორე მხარის/სასამართლო სხდომაში მონაწილე პირის მოსაზრებები, რომლის ინტერესებსაც ეხება შუამდგომლობა (საქართველოს სსსკ-ის 25-ე მუხლის მე-4 ნაწილი; 94-ე მუხლის მე-3 ნაწილი). პარალელურად, უნდა აღინიშნოს, რომ უპირობოდ ყველა ტიპის შუამდგომლობასთან, მოცემული დანაწესი არ მოქმედებს (მაგალითისთვის: საპატიო მიზეზით გაცდენილი ვადის თაობაზე შუამდგომლობა - საქართველოს სსსკ-ის 89-ე მუხლი; შემთხვევისა და სხვა ადგილის დათვალელების თაობაზე შუამდგომლობა - საქართველოს სსსკ-ის 127-ე მუხლი; გამოძიების სტადიაზე მაგისტრატ მოსამართლესთან მოწმის დაკითხვის თაობაზე შუამდგომლობა - საქართველოს სსსკ-ის 114-ე მუხლი და სხვა).

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სსსკ-ის 115-ე მუხლი არ აკონკრეტებს მოწმისთვის დასმული შეკითხვის განრიდების თაობაზე, შუამდგომლობის განხილვის წესს.

ქმედების დისციპლინური გადაცდომად შეფასების მიზნებისთვის, რეგულირების პროცესში ნორმის განჭვრეტადობის კომპონენტი უმთავრესია. იმ პირობებში კი, როცა სახეზეა სამართლებრივი რეგულაციის ბუნდოვანება და მოსამართლე თავად ახდენს ნორმის შინაგანი რწმენით განმარტებას, ქმედების კანონიერება (შეკითხვის განრიდება, მოწინააღმდეგე მხარის პოზიციის გარეშე) დისციპლინური სამართალწარმოების ფარგლებში არ ფასდება („საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-3 პუნქტი).

საქართველოს სსსკ-ის 85-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, პროცესის მონაწილის ან/და სასამართლო სხდომაზე დამსწრის მიერ სხდომაზე წესრიგის დარღვევის, სხდომის თავმჯდომარის განკარგულებისადმი დაუმორჩილებლობის ან სასამართლოს მიმართ უპატივცემულობის გამოხატვის შემთხვევაში სხდომის თავმჯდომარე ზეპირ შენიშვნას აძლევს მას და მოუწოდებს, შეწყვიტოს არასათანადო ქცევა. აღნიშნული მოწოდებისადმი დაუმორჩილებლობის შემთხვევაში სასამართლო სხდომის თავმჯდომარეს ადგილზე თათბირით გამოაქვს განკარგულება პირის დაჯარიმების ან/და სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაძევების შესახებ.

კონკრეტულ შემთხვევაში, სასამართლოს მიერ დარღვეულია საქართველოს სსსკ-ის 85-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნა.

იმპერატიულად დადგენილია საპროცესო წესი იმის თაობაზე, რომ მოსამართლემ განკარგულების გამოტანამდე, ზეპირი შენიშვნა უნდა მისცეს წესრიგის დამრღვევ პირს, ხოლო დაუმორჩილების შემთხვევაში, შემდეგში მიიღოს განკარგულება - დაჯარიმების თაობაზე. არსებულ მოცემულობაში არ არსებობდა წინაპირობა - ზეპირი შენიშვნის სახით, რის გამოც, სასამართლოს ქმედება წინააღმდეგობრივია საქართველოს სსსკ-ის 85-ე მუხლის მოთხოვნასთან.

დისციპლინური სამართალწარმოების მიზნებისთვის, საპროცესო წესის დარღვევის დადასტურების შემთხვევაში, რელევანტურია გამოირკვეს და შეფასდეს სხვა გარემოებებიც. კერძოდ, მნიშვნელოვანია დაზუსტდეს და აღინიშნოს, რომ მხოლოდ საპროცესო წესის დარღვევის ფაქტი არ იძლევა დისციპლინური გადაცდომის კვალიფიკაციის შესაძლებლობას და მსგავს შემთხვევაში, სავალდებულო წესით კუმულაციურად მხედველობაში მიიღება: მოსამართლის ბრალეულობა და მისი ხარისხი, შეცდომის გამოსწორების შესაძლებლობა, შეცდომის ხარისხი, მოსამართლის მოტივი, ქმედებათა განმეორებითობა, ინტენსივობა და ა.შ.

„საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგია განმარტავს, რომ დისციპლინური გადაცდომისა და სამართლებრივი შეცდომის ერთ-ერთი განმასხვავებელი ნიშანი არის შეცდომის გამოსწორების შესაძლებლობა. აღნიშნული მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ, მართალია, მოსამართლემ დაუშვა შეცდომა, მაგრამ იგი ექვემდებარება გამოსწორებას. შეცდომის გამოსწორების უმნიშვნელოვანეს მექანიზმს წარმოადგენს გადაწყვეტილების გასაჩივრება,

...გადაწყვეტილების გასაჩივრებით შესაძლებელია, ზემდგომმა სასამართლომ აღმოფხვრას ქვემდგომი სასამართლოს მიერ დაშვებული შეცდომა. ...ამდენად, ზემოაღნიშნული მექანიზმების გამოყენებით შესაძლებელია დაშვებული შეცდომის შეცვლა და მისი გამოსწორება იმავე ან ზემდგომი სასამართლოს მიერ, რაც გამორიცხავს რაიმე უარყოფითი შედეგის მიღებას. მოსამართლის მიერ დაშვებული შეცდომა, რომლის გამოსწორება შესაძლებელია, არ წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას. აღნიშნული კვალიფიცირდება სამართლებრივ შეცდომად და დაუშვებელია ამ საფუძვლით მოსამართლის მიმართ დისციპლინური სახდელის დაკისრება².

კონკრეტულ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ -- სასამართლოს 2018 წლის 21 თებერვლის ზემოაღნიშნული განკარგულება, გაუქმდა -- სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 28 თებერვლის განჩინებით. შესაბამისად, აღმოიფხვრა დაშვებული შეცდომა და გამოირიცხა მხარის უფლებების დარღვევის საფრთხეც. შედეგად სახეზეა მოსამართლის მხრიდან სამართლებრივი შეცდომა, რის გამოც, შემთხვევა არ შეიცავს დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

3.6.2. 2018 წლის 21 თებერვლის სასამართლო სხდომაზე, დასაბუთების გარეშე, სასამართლომ გამოაცხადა განკარგულების სარეზოლუციო ნაწილი, დაცვის მხარის ადვოკატის 200 ლარით დაჯარიმების თაობაზე. დასაბუთებული განკარგულება წარმოდგენილია ასევე საქმის მასალებშიც (ტ4, გვ.300). ორივე შემთხვევაში განკარგულების სარეზოლუციო ნაწილი იდენტურია.

რაც შეეხება განჩინების დასაბუთებულობას და მასში შესაბამისი ნორმის ნაწილის მითითების აუცილებლობის საკითხს, აღნიშნულის შეფასება სცდება დისციპლინური სამართალწარმოების ფარგლებს.

ნორმის შეფარდების სამართლებრივი პროცესი კონკრეტულ შემთხვევაში განხორციელებულია გარემოებათა შინაგანი რწმენით შეფასებების საფუძველზე. შესაბამისად, სასამართლო დასკვნის კანონიერება, ვინაიდან მას საფუძველად უდევს მოსამართლის შინაგანი რწმენა, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების ფარგლებში ვერ შემოწმდება.

3.7. 2018 წლის 21 თებერვლის სასამართლოს სხდომაზე დაცვის მხარის ადვოკატმა შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს, მოსამართლის აცილების თაობაზე. შუამდგომლობის განხილვის პროცესში პოზიცია დააფიქსირეს: დაცვის მხარის სხვა ადვოკატმა და ბრალდებულ -- -- აღნიშნულის შემდეგ სასამართლომ მოსაზრების გამოხატვის შესაძლებლობა სახელმწიფო ბრალმდებელს მისცა, რაც გააპროტესტა დაცვის მხარის ადვოკატმა:

- **დაცვის მხარის ადვოკატი:** დანარჩენ ბრალდებულებს არ ეკითხებით?
- **მოსამართლე:** თქვენ წარმოადგენთ მათ.
- **დაცვის მხარის ადვოკატი:** მერე რა, ადვოკატმა რა თქვა, -- კითხეთ, დანარჩენი ბრალდებულები ბრალდებულები არ არიან?
- **მოსამართლე:** თუ გასურთ აზრის დაფიქსირება, შეგიძლიათ დააფიქსიროთ.

საჩივარში აღნიშნულია, რომ სასამართლომ ბრალდებულებს შეუზღუდა მოსაზრების გამოხატვის შესაძლებლობა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სსსკ-ის 44-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ადვოკატი სარგებლობს ბრალდებულის ყველა უფლებით და დაცვის მხარის ამ კოდექსით გათვალისწინებული სხვა უფლებებით. ადვოკატი ვერ ისარგებლებს იმ უფლებებით, რომლებითაც, თვით ამ უფლებების ბუნებიდან გამომდინარე, შეიძლება მხოლოდ ბრალდებულმა ისარგებლოს.

² სადისციპლინო კოლეგიის 2013 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილება, №1/04-12 დისციპლინურ საქმეზე

საქართველოს სსსკ-ის 94-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ სასამართლო სხდომაში მონაწილეობს პირი, რომლის ინტერესებსაც ეხება შუამდგომლობა, აგრეთვე მისი ადვოკატი, მათაც ეძლევათ შესაძლებლობა, მისცენ განმარტებანი და ჩამოაყალიბონ თავიანთი მოსაზრებანი. კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლომ აღნიშნული დანაწესი გაითვალისწინა მხოლოდ დამცველის პროტესტის შემდეგ.

აღნიშნულის მიუხედავად, ქმედებას უარყოფითი სამართლებრივი შედეგი არ გამოუწვევია და ბრალდებულთა უფლებები სრულად იქნა რეალიზებული. არსებული სამართლებრივი შედეგების გამო, შემთხვევა დაუშვებელია შეფასდეს დისციპლინურ გადაცდომად.

3.8. 2018 წლის 28 თებერვლის სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა დაცვის მხარე (ადვოკატები, ბრალდებულები). საქმეზე წარმოდგენილია პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლების ოქმი, სადაც მითითებულია, რომ -- -- უარი განაცხადა სასამართლოში გამოცხადებაზე (საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე ბრალდებული -- -- საკუთარ ინტერესებს იცავდა დამოუკიდებლად, დამცველის გარეშე).

სასამართლოს 2018 წლის 28 თებერვლის განჩინებით, -- -- (საქართველოს სსსკ-ის 189-ე მუხლი), -- -- და -- -- (საქართველოს სსსკ-ის 190-ე მუხლი) დაენიშნა დამცველი, სახელმწიფო ხარჯზე.

2018 წლის 7 მარტის სასამართლო სხდომაზე გამოცხადდნენ დაცვის მხარის ადვოკატები და ბრალდებულები. მათ მიერ წარდგენილი შუამდგომლობის საფუძველზე, ბრალდებულების -- -- და -- -- შემთხვევაში, საქმის განხილვიდან აცილებული იქნა დამცველი, სახელმწიფოს ხარჯზე. რაც შეეხება ბრალდებულ -- --, რომელიც აცხადებდა, რომ სურდა დამოუკიდებლად, დამცველის მონაწილეობის გარეშე, საკუთარი ინტერესების დაცვა, სასამართლომ მისი პოზიცია არ გაითვალისწინა.

2018 წლის 7 მარტის განჩინებაში სასამართლო მიუთითებს: „სასამართლოს სავალდებულოდ მიაჩნია, რომ საქმის განხილვაში მონაწილეობდეს წარმოდგენილი ადვოკატი, იმისათვის რომ უზრუნველყოფილი იქნეს, ადვოკატის ჩართულობა საქმის განხილვის პროცესში, რათა გამოირიცხოს სხვა შემთხვევებში, როდესაც დაცვის მხარე პროცესის გაჭიანურების მიზნით კვლავ გადაწყვეტს, რომ არ სურს პროცესში მონაწილეობა, რაც უსაფუძვლოდ გააჭიანურებს პროცესს. მოცემულ შემთხვევაში ადვოკატი -- -- (სახაზინო წესით დანიშნული ადვოკატი) საქმის განხილვაში დაიცავს -- -- ინტერესებს და ასევე სხვა სხდომებზე დაიცავს სხვა ბრალდებულების ინტერესებსაც, თუკი ისინი და მათ ინტერესების დამცველი ადვოკატები არ გამოცხადდებიან საქმის განხილვის სხდომებზე არასაპატიო მიზეზით“. სასამართლო ასევე მიუთითებდა საქართველოს სსსკ-ის მე-60 მუხლზე და განმარტავდა, რომ არ არსებობდა მოცემული მუხლით დადგენილი ადვოკატის აცილების საფუძველები.

საჩივარში აღნიშნული, რომ სასამართლოს მხედველობაში უნდა მიეღო ბრალდებულის -- --) სურვილი - დამოუკიდებლად დაეცვა საკუთარი ინტერესები, ვინაიდან, არ არსებობდა საქმეში სავალდებულო წესით ადვოკატის მონაწილეობის საპროცესო საფუძველი.

საქართველოს სსსკ-ის მე-60 მუხლით განსაზღვრულია სისხლის სამართლის პროცესში ადვოკატის მონაწილეობის გამომრიცხავი გარემოებები. ასევე, აღნიშნულის დამოუკიდებლად, საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს სხვა სპეციალურ საფუძველებსაც, რა შემთხვევაშიც პარალელურად დაუშვებელია ადვოკატის მონაწილეობა საქმის განხილვაში. შესაბამისად, ის გარემოება, რომ არ არსებობს საქართველოს სსსკ-ის მე-60 მუხლით გათვალისწინებული საპროცესო საფუძველი, უპირობოდ არ გულისხმობს, რომ დასაშვებია საქმეში კონკრეტული დამცველის მონაწილეობა (მაგ: საქართველოს სსსკ-ის 42-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

საკითხზე მსჯელობისთვის, მნიშვნელოვანია აღინიშნოს სხვა სამართლებრივ რეგულაციაზეც:

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 (c) პუნქტის თანახმად, ყოველ პირს, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა უფლება აქვს დაიცვას თავი პირადად ან მის მიერ არჩეული დამცველის მეშვეობით, ან თუ მას არ გააჩნია საკმარისი საშუალება იურიდიული მომსახურების ასანაზღაურებლად, უფასოდ ისარგებლოს ასეთი მომსახურებით, როდესაც ამას მოითხოვს მართლმსაჯულების ინტერესები.

„დაიცვას თავი პირადად ან ...დამცველის მეშვეობით“, ორივე უფლება მნიშვნელოვან წინაპირობად განიხილება ეფექტური სისხლისსამართლებრივი დაცვის ხელმისაწვდომობისთვის. ამასთან, საკუთარი ინტერესების პირადად დაცვის უფლება ნათლად, პირდაპირ არის ჩამოყალიბებული და გამიჯნული, ადვოკატის მეშვეობით დაცვის უფლებისგან. პირადად ინტერესების დაცვა გულისხმობს, რომ პირი უფლებამოსილია თავად დაიცვას და იმოქმედოს საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, მოიკვლიოს და წარადგინოს მტკიცებულებები, გაასაჩივროს გადაწყვეტილებები, წარადგინოს პროცედურასთან დაკავშირებული შუამდგომლობები, ეჭვქვეშ დააყენოს მოწმეთა სანდოობა და სხვა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პირის უფლება, უშუალოდ დაიცვას საკუთარი ინტერესები, არ არის აბსოლუტური. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში - *Croissant v. Germany* განაცხადა, რომ ეროვნული სასამართლოს მიერ განმცხადებლის დავალდებულება, წარმოდგენილი ყოფილიყო ადვოკატის მიერ, შეუსაბამო არ იყო კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 (c) ქვეპუნქტთან. აღნიშნულის წინაპირობად განხილულია: საქმის შინაარსი, ფაქტობრივი, სამართლებრივი საკითხების სირთულე და ბრალდებულის პიროვნება.

საქართველოს სსსკ-ის 45-ე მუხლის შესაბამისად, ბრალდებული/მსჯავრდებული პირის პოზიციის მიუხედავად, დადგენილია სისხლის სამართლის პროცესში ადვოკატის სავალდებულო მონაწილეობის საპროცესო საფუძვლები. ასევე, მოცემული ნორმა პარალელურად მიუთითებს ამ კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებზეც.

სასამართლოს 2018 წლის 28 თებერვლის განჩინებით, ბრალდებულ -- --, სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის გამო, საქართველოს სსსკ-ის 189-ე მუხლის საფუძველზე დაენიშნა დამცველი სახელმწიფო ხარჯზე (ბრალდებულის დაუსწრებლად საქმის განხილვა როცა იგი თავს არიდებს სასამართლოში გამოცხადებას).

2018 წლის 7 მარტის სასამართლო სხდომაზე საბადრაგო სამსახურის მიერ წარმოდგენილი იქნა ბრალდებული -- --. მისი განმარტებით, წინა სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობა განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ მან იცოდა სხდომის გადადების თაობაზე. კერძოდ, მისი ინფორმაციით საქმის განხილვაში მონაწილეობის მისაღებად სხდომაზე ვერ გამოცხადდებოდა დაცვის მხარე (ადვოკატები, ბრალდებულები). მისი მიზანი არ ყოფილა საქმის განხილვისგან თავის არიდება, სურდა საქმის განხილვაში მონაწილეობა და საკუთარი ინტერესების პირადად დაცვა, სახელმწიფო ხარჯზე დანიშნული დამცველის მონაწილეობის გარეშე (შუამდგომლობას ეთანხმებოდნენ სხვა ბრალდებულებიც).

სასამართლომ შუამდგომლობა, -- -- შემთხვევაში, სახელმწიფო ხარჯზე დანიშნული დამცველის აცილების თაობაზე, არ დააკმაყოფილა. სასამართლო განჩინებაში უთითებს საქართველოს სსსკ-ის მე-60, 63-ე, 66-ე, 93-ე, 89-ე და 190-ე მუხლებზე და განმარტავს, რომ ადვოკატის საქმეში სავალდებულო მონაწილეობის აუცილებლობა განპირობებულია სამომავლოდ, ბრალდებულ -- -- მხრიდან, პროცესის გაჭიანურების საფრთხით. ამასთან, დანიშნული ადვოკატი დაიცავდა სხვა ბრალდებულთა ინტერესებსაც, თუ ისინი შემდგომში არ გამოცხადდებოდნენ სასამართლო სხდომებზე.

უნდა აღინიშნოს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლოს მსჯელობა წინააღმდეგობრივია იმპერატიულად დადგენილ საპროცესო ნორმებთან:

- განჩინებაში მითითებული საპროცესო ნორმები (საქართველოს სსსკ-ის მე-60, 63-ე, 66-ე, 93-ე, 189-ე და 190-ე მუხლები), ბრალდებულის სასამართლო პროცესზე გამოცხადების შემთხვევაში არ ითვალისწინებდა სახელმწიფო ხარჯზე დანიშნული დამცველის სავალდებულო მონაწილეობას, პროცესის გაჭიანურების სამომავლო საფრთხის თავიდან აცილების მიზნით.
- ბრალდებულის დაუსწრებლად საქმის განხილვა და მისთვის სავალდებულო წესით ადვოკატის დანიშვნა აუცილებელია, თუ იგი თავს არიდებს სასამართლოში გამოცხადებას (საქართველოს სსსკ-ის 189-ე მუხლი). დადგენილია, რომ ბრალდებული გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე (07.03.18 სასამართლო სხდომა), შესაბამისად, იგი თავს არ არიდებდა სასამართლო განხილვას.
- საქართველოს სსსკ-ის 190-ე მუხლი მიუთითებს ადვოკატის გამოუცხადებლობის სამართლებრივ შედეგებზე. დადგენილია, რომ ბრალდებული -- -- საკუთარ ინტერესებს იცავდა პირადად, დამცველის მონაწილეობის გარეშე. შესაბამისად, ადვოკატის გამოუცხადებლობის პირობა, საქმეზე არ იყო წარმოდგენილი.
- ადვოკატის სავალდებულო მონაწილეობა საქმეში, იმ საფუძველით, რომ მან სამომავლოდ სხვა ბრალდებულთა ინტერესებიც დაიცვას, თუ ამის აუცილებლობა გამოვლინდება, საპროცესო კანონით გათვალისწინებული არაა. აღნიშნული ასევე ეწინააღმდეგება საქართველოს სსსკ-ის 42-ე მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესს (...ბრალდებულის ან მსჯავრდებულის სურვილით მოწვეული ადვოკატის სასამართლოში გამოცხადებისთანავე, ბრალდებულის ან მსჯავრდებულის მოთხოვნის შემთხვევაში, სავალდებულო წესით დანიშნული ადვოკატი უნდა ჩამოსცილდეს საქმის განხილვას).
- საქმის განხილვის გაჭიანურების საფრთხე, საქმის არსებითი განხილვის ვადისა და დაცვის მხარის ქმედებების (გამოუცხადებლობა არ იყო სისტემატური), საქმეზე არ დგინდებოდა.

ამდენად, განსახილველ შემთხვევაში მართალია სასამართლომ შეზღუდა ბრალდებულის უფლება - დაეცვა საკუთარი ინტერესები პირადად, დამცველის მონაწილეობის გარეშე, აღნიშნული კი შედეგად გარკვეულწილად აბრკოლებს ეფექტური სისხლისსამართლებრივი დაცვის ხელმისაწვდომობას, თუმცა, ამ შემთხვევაშიც მოსამართლის გადაწყვეტილების კანონიერების შეფასება სცდება დამოუკიდებელი ინსპექტორის უფლებამოსილების ფარგლებს.

3.9. საქართველოს სსსკ-ის მე-11 მუხლის თანახმად, სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება ქართულ ენაზე, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში – აგრეთვე აფხაზურ ენაზე. პროცესის მონაწილეს, რომელმაც არ იცის ან სათანადოდ არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა, ამ კოდექსით დადგენილი წესით დაენიშნება თარჯიმანი. საქართველოს სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, თარჯიმანს იძახებენ, როცა პროცესის მონაწილემ არ იცის ან სათანადოდ არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა.

საქმეში წარმოდგენილი მასალების თანახმად:

გამომიების ეტაპზე მოწმის სახით გამოკითხულია -- --. დაკითხვის ოქმში მითითებულია, რომ გამოსაკითხს პირს განემარტა უფლება - თარჯიმნის უფასო მომსახურების თაობაზე, ხოლო გამოსაკითხი პირის განმარტებით, იგი სრულყოფილად ფლობდა ქართულ ენას და არ საჭიროებდა თარჯიმნის დახმარებას. გამოკითხვის ოქმში მითითებული ინფორმაციის ნამდვილობა, ხელმოწერით, ქართულ ენაზე დადასტურებულია -- -- მიერ (ტ. 1, გვ. 38-45).

2018 წლის 04 აპრილის სასამართლო სხდომაზე დაიკითხა მოწმე -- --. დაკითხვის დაწყებისთანავე, დაცვის მხარემ სადავოდ გახადა მოწმის მიერ საპროცესო ენის სრულყოფილად ცოდნა. აღნიშნულზე მოწმემ თავდაპირველად განაცხადა, რომ მან იცოდა ქართულად კითხვა, საუბარი და ასევე შეეძლო ქართულად წერა, თუმცა, საკითხზე განმეორებით დასმული შეკითხვების შემდგომ - აღნიშნა, რომ არ იყო წინააღმდეგი ესარგებლა თარჯიმნის მომსახურებით. ჩვენების მიცემის პროცესი მიმდინარეობდა 14:47-17:20 პერიოდში, რა დროსაც, -- --, იშვიათი გამონაკლისების გარდა, თარჯიმნისგან დამოუკიდებლად, დასმულ შეკითხვებს ქართულად პასუხობდა.

საჩივარში აღნიშნულია, რომ მოწმე -- -- არ იცოდა ქართული ენა და აღნიშნული დადასტურდა საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე, მისი მოწმის სახით დაკითხვის პროცესში. შესაბამისად, კანონდარღვევით მიცემული ჩვენება არ უნდა ყოფილიყო სასამართლოს მიერ გათვალისწინებული და არსებულ დარღვევაზე, სასამართლოს უნდა ემსჯელა განაჩენში.

საქართველოს მე-3 მუხლის 24-ე მუხლის თანახმად, მოწმის ჩვენებას წარმოადგენს მოწმის მიერ სასამართლოში მიცემული ინფორმაცია სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა შესახებ. კონკრეტულ შემთხვევაში კი, 2018 წლის 04 აპრილის სასამართლო სხდომაზე, მოწმე -- -- დაკითხა თარჯიმნის მონაწილეობით, ხოლო 2018 წლის 04 ივლისის განაჩენში მითითებულია სწორედ -- -- მიერ სასამართლო სხდომაზე მიცემულ ჩვენებაზე.

დამატებით უნდა აღინიშნოს ასევე, რომ 2018 წლის 04 აპრილის სასამართლო სხდომაზე, მოწმის დაკითხვის მიმდინარეობის პროცესში, მხარეებს, შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე, შესაძლებლობა ჰქონდათ დაესვათ მოწმისთვის შეკითხვები, გადაემოწმებინათ მის მიერ გამოძიების ეტაპზე მიწოდებული ინფორმაციის სიზუსტე და სარწმუნოობაც.

რაც შეეხება გამოკითხვის ოქმის დასაშვებობასა და იმ გარემოებას, თუ რატომ არ გაამახვილა განაჩენში მოცემულ მტკიცებულებაზე (გამოძიების ეტაპზე -- -- გამოკითხვის ოქმი) ყურადღება სასამართლომ, აღნიშნულს დისციპლინური სამართალწარმოების განმახორციელებელი ორგანო ვერ შეაფასებს.

მტკიცებულებათა დასაშვებობის სადავოობასთან მიმართებით მნიშვნელოვანია დადგინდეს საქმეზე მტკიცებულების არსებითი დარღვევით მოპოვების ფაქტი (საქართველოს სსსკ-ის 73-ე მუხლი). სამართლებრივი პროცესი კი, ამ კუთხით საკითხის შინაგანი რწმენით შეფასების აუცილებლობას მოითხოვს. კერძოდ, საპროცესო წესის დარღვევა, ასეთის დადასტურების შემთხვევაში, რამდენად არსებითია, შეფასებითი მნიშვნელობისაა. შესაბამისად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, სასამართლოს შინაგანი რწმენით შეფასებების საფუძვლიანობა, დისციპლინურ სამართალწარმოების ფარგლებში ვერ განიხილება.

3.10. 2017 წლის 10 ნოემბრის სასამართლო სხდომაზე (მოსამართლე -- --) მაგისტრი მოსამართლის წინაშე, მოწმის სახით დაკითხა -- --. მოწმის ვინაობის დადგენის შემდეგ სასამართლომ იგი გააფრთხილა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ, ცრუ ჩვენებისა და ჩვენებაზე უარის თქმის თაობაზე. აღნიშნულზე ხელწერილი მას სასამართლომ ჩამოართვა მოგვიანებით, მას შემდეგ რაც, მოწმემ უპასუხა საქმესთან დაკავშირებით დასმულ რამდენიმე შეკითხვას. ხელწერილის ჩამორთმევის შემდეგ, ასევე გაგრძელდა შეკითხვების ეტაპი.

2018 წლის 04 აპრილის სასამართლო სხდომაზე, მოწმე -- -- დაკითხვის პროცესში, თარჯიმნად მოწვეულია -- --. მოწმის დაკითხვის დაწყებამდე, სასამართლომ მას განუმარტა უფლება-მოვალეობები და ასევე გააფრთხილა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე, ცრუ ჩვენებისა და ჩვენებაზე უარის თქმის შემთხვევაში. ხელწერილი გაფრთხილების თაობაზე, სასამართლომ თარჯიმანს ჩამოართვა მოგვიანებით, მოწმის დაკითხვის დასრულების შემდეგ.

საჩივარში აღნიშნულია, რომ მოწმე -- -- და თარჯიმანი -- -- სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე ხელწერილით სასამართლომ გააფრთხილა მხოლოდ დაკითხვის დასრულების შემდეგ. აღნიშნული კი, შედეგად იწვევდა მათი მონაწილეობით საპროცესო მოქმედების დაუშვებლად ცნობას.

საქართველოს სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-20 ნაწილის შესაბამისად, პირი მოწმის სტატუსსა და უფლება-მოვალეობებს იძენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე გაფრთხილებისა და ფიცის დადების შემდეგ. ამავე კოდექსის 48-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლომ ფიცის დადების

წინ მოწმეს უნდა აუხსნას ფიცის მნიშვნელობა და განუმარტოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე და 371-ე მუხლებით გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

საქართველოს სსსკ-ის 114-ე მუხლის მე-12 ნაწილის შესაბამისად, ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში მოწმის დაკითხვა მიმდინარეობს დახურულ სასამართლო სხდომაზე, ამ კოდექსის 115-ე მუხლით დადგენილი წესით. ამავე კოდექსის 115-ე მუხლის თანახმად, დაკითხვის დაწყებამდე სასამართლო მოწმეს აფრთხილებს ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის და ცრუ ჩვენების მიცემისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ.

საქართველოს სსსკ-ის 54-ე მუხლით დადგენილია თარჯიმნის უფლება-მოვალეობანი.

სასამართლო სხდომის ოქმის აუდიო ჩანაწერიდან დგინდება, რომ როგორც მოწმე, ასევე თარჯიმანი, სასამართლომ გააფრთხილა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე.

რაც შეეხება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ, გაფრთხილების ხელწერილის ჩამორთმევის სავალდებულობას, ასეთ აუცილებლობაზე საპროცესო კანონი პირდაპირ არ მიუთითებს. მიუხედავად ამისა, ხელწერილი ჩამოერთვა როგორც მოწმეს, ასევე თარჯიმანს (მოწმეს, დაკითხვის მიმდინარეობის პროცესში, თარჯიმანს - დაკითხვის დასრულების შემდეგ). შესაბამისად, არსებული მოცემულობა არ შეიცავს საპროცესო წესის დარღვევის ნიშნებს.

3.11. საქართველოს სსსკ-ის 243-ე მუხლი ადგენს მოწმის სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში მისი ჩვენების/გამოკითხვის ოქმის გამოქვეყნების რამდენიმე ალტერნატიულ პირობას, თუ: 1. მოწმე გარდაიცვალა; 2. მოწმე საქართველოში არ იმყოფება 3. მოწმის ადგილსამყოფელი უცნობია ან ამოწურულია სასამართლოს წინაშე მისი წარდგენის ყველა გონივრული შესაძლებლობა და გამოკითხვა/დაკითხვა ამ კოდექსით დადგენილი წესით ჩატარდა.

2018 წლის 25 აპრილის სასამართლო სხდომაზე, სასამართლოს, ბრალდების მხარემ წარუდგინა დოკუმენტები - მოწმეთა მიერ საქართველოს საზღვრის კვეთის თაობაზე და განუცხადა, რომ ისინი არ იმყოფებოდნენ საქართველოში. ასევე, სატელეფონო საუბრის აქტები, სადაც ბრალდების მხარის განმარტებით აღნიშნული იყო, რომ მოწმეები ვერ მოახერხებდნენ საქართველოში ჩამოსვლასა და სასამართლოში გამოცხადებას. აღნიშნულის საფუძველზე, ბრალდების მხარემ, საქართველოს სსსკ-ის 243-ე მუხლის თანახმად, მოითხოვა მოწმეთა ჩვენებების გამოქვეყნება, რაც სასამართლოს მიერ დაკმაყოფილდა.

მომჩივანთა განმარტებით, ზემოაღნიშნული მტკიცებულებების საფუძველზე არ იკვეთებოდა, რომ მხარემ ყველა გონივრული შესაძლებლობა ამოწურა მოწმეთა სასამართლოში წარსადგენად. შესაბამისად, სასამართლო არ იყო უფლებამოსილი მიეღო გადაწყვეტილება, მოწმეთა ჩვენების/გამოკითხვის ოქმის გამოქვეყნების თაობაზე.

აღსანიშნავია, კონკრეტულ შემთხვევაში სადავო საკითხზე მსჯელობა დაკავშირებულია მტკიცებულებების შეფასებასთან. კერძოდ, საქართველოს სსსკ-ის 243-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგენა, მტკიცებულებების შეფასებების საფუძველზე ხორციელდება, ხოლო შეფასებას თავის მხრივ, საფუძვლად უდევს მოსამართლის შინაგანი რწმენა. აღნიშნულის გამო, დისციპლინური სამართალწარმოების ფარგლებში, ამგვარი სასამართლო დასკვნების კანონიერება და საფუძვლიანობა, ვერ შემოწმდება („საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტი).

3.12. საჩივრის ავტორები დისციპლინური კუთხით სადავოდ ხდიან მსჯავრდებულთა მიმართ კონკრეტული მუხლის სანქციის ფარგლებში დანიშნულ სასჯელის დასაბუთებულობას.

სადავო საკითხთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ დამნაშავეს სასჯელი ენიშნება სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის საფუძველზე და ამ პროცესში სასამართლო შინაგანი რწმენით აფასებს, ითვალისწინებს დამნაშავეს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, კერძოდ: დანაშაულის მოტივსა და მიზანს, მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას, ქმედების განხორციელების სახეს, ხერხსა და მართლსაწინააღმდეგო შედეგს, დამნაშავეს წარსულ ცხოვრებას და ა.შ.

კონკრეტულ მოცემულობაში კი, სასამართლო დასკვნების კანონიერება და დასაბუთებულება, ვინაიდან მას საფუძველად უდევს მოსამართლის შინაგანი რწმენა, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების ფარგლებში ვერ შეფასდება.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძველები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნეს მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

მნიშვნელოვანია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა. შესაბამისად, საჩივრის ავტორის მითითება მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების/განჩინების კანონიერების თაობაზე არ შეიძლება განხილულ იქნეს დისციპლინური გადაცდომად.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

„მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). დისციპლინური სამართალწარმოების ქრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2018 წლის 21 თებერვლის დასკვნით დადგინდა, რომ -- -- და -- -- საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმებისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია).

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური

სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტის კანონიერებას (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტით, 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

-- -- და -- -- 2018 წლის 10 ოქტომბრის №-- საჩივარზე შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ, მოსამართლის მიერ განხორციელებული საპროცესო მოქმედებების კანონიერების შემოწმების ნაწილში.

ზურაბ აზნაურაშვილი

დამოუკიდებელი ინსპექტორი